



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

2017 წლის ბიუჯეტი

თავი I

ხელგაწერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14,791,951	18,249,931	1 401, 335	16,848,596	16,297,090		16,297,090
გადასახადები	641,257	4,755,167		4,755,167	5,050,000		5,050,000
გრანტები	12,448,183	12,102,794	1 401, 335	10,701,459	10,063,850		10,063,850
სხვა შემოსავლები	1,702,512	1,391,970		1,246,396	1,183,240		1,183,240
ხარჯები	9 792 067	9,723,178		9,723,178	10,522,126		10,522,126
შრომის ანაზღაურება	2,283,262	2,189,026		2,189,026	1,981,520		1,981,520
საქონელი და მომსახურება	871 733	1,139,425		1,139,425	1,325,008		1,325,008
სუბსიდიები	3,004,706	3,506,025		3,506,025	3,869,790		3,869,790
გრანტები	280,995	290 000		290 000	0		0
სოციალური უზრუნველყოფა	438,586	529,719		529,719	255,925		255,925
სხვა ხარჯები	2,912,785	2,068, 983		2,068, 983	3,089,883		3,089,883
საოპერაციო საღდო	4999885	8,526,753	1401335	7,125,418	5,774,964		5,774,964
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8338444	8,707,482	1401335	7,306,147	7,302,233		7,302,233
ზრდა	8374155	8 779401	1 401 335	7378066	7,332,033		7,332,033
კლება	35711	71919		71919	29,800		29,800
მოლიანი საღდო	-3338559	-180729		-180729	-1,527,269		-1,527,269
ფინანსური აქტივების ცვლილება	-3366150	-349 228		-349 228	-1,544,763		-1,544,763
ზრდა	0	0			14,300		14,300
ვალუტა და დეპოზიტები	0	0			14300		14300

კლება	3366150	349 228		349 228	1,559,063		1,559,063
ვალუტა და დეპოზიტები	3366150	349 228		349 228	1,559,063		1,559,063
ვალდებულებების ცვლილება	-27591	-168499	0,000	-168499	-17494		-17494
ზრდა					0		0
კლება	27591	168 499		168 499	17494		17494
საშინაო							
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

**მუხლი 2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსულობები</b>	<b>14,827,662</b>	<b>18,321,850</b>	<b>1 401 335</b>	<b>16,920,515</b>	<b>16,326,890</b>		<b>16,326,890</b>
შემოსავლები	14,791,951	18,249,931	1 401 340	16,848,596	16,297,090		16,297,090
არაფინანსური აქტივების კლება	35711	71919		71919	29800		29800
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)							
ვალდებულებების ზრდა							
<b>გადასახდელები</b>	<b>18,193,813</b>	<b>18, 671,078</b>	<b>1 401 335</b>	<b>17269,743</b>	<b>17,885,953</b>		<b>17,885,953</b>
ხარჯები	9,792,067	9,723,178		9,723,178	10,522,126		10,522,126
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,374,155	8,779,401	1 401 335	7378,066	7,332,033		7,332,033
ფინანსური აქტივების ზრდა					14,300		14,300
ვალდებულებების კლება	27,591	168 499		168 499	17,494		17,494
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-3,366,151</b>	<b>-349 228</b>		<b>-349 228</b>	<b>-1,559,063</b>		<b>-1,559,063</b>

**მუხლი 3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 16 297 090 ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსავლები</b>	<b>14,791,951</b>	<b>18,249,931</b>	<b>1,401,335</b>	<b>16,848,596</b>	<b>16,297,090</b>	<b>0</b>	<b>16,297,090</b>
გადასახადები	641,257	4,755,167	0	4,755,167	5,050,000	0	5,050,000
გრანტები	12,448,183	12,102,794	1,401,335	10,701,459	10,063,850	0	10,063,850
სხვა შემოსავლები	1,702,512	1,391,970	0	1,391,970	1,183,240	0	1,183,240

**ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>გადასახადები</b>	<b>641,257</b>	<b>4,755,167</b>	<b>0</b>	<b>4,755,167</b>	<b>5 050 000</b>		<b>5 050 000</b>
საშემოსავლო გადასახადი		1,361,353		1,361,353	1,700,000		1,700,000
ქონების გადასახადი	641,257	3,393,814	0	3,393,814	3,350,000		3,350,000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	305,199	2,585,415		2,585,415	2,583,000		2,583,000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	75,916	55,236		55,236	50,000		50,000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	41,685	49,099		49,099	42,000		42,000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	218,457	704,064		704,064	675,000		675,000
სხვა არაკლასიფიცირებული ქონების გადასახადები	0	0		0	0		0
სხვა გადასახადები	0	0		0	0		0

**ბ). მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10063850 ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>12,448,183</b>	<b>12,102,794</b>	<b>10,063,850</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები			

<b>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი</b>	<b>1,501,842</b>	<b>2,924,959</b>	<b>4,827,350</b>
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	1,454,442	2,146,498	4,827,350
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	47,400	778,461	0
<b>სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი</b>	<b>10946341</b>	<b>9,177,835</b>	5,236,500
<b>ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები</b>	<b>9226900</b>	7,776,500	5,236,500
გათანაბრებითი ტრანსფერი	<b>9226900</b>	7,776,500	5,236,500
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>1 719 441</b>	<b>1 401 335</b>	<b>0</b>
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 316 149	1 401 335	0
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი			
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები			
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	<b>403292</b>	<b>0</b>	<b>0</b>

**გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1,183,240 ლარის ოდენობით

<b>დასახელება</b>	<b>2015 წლის ფაქტი</b>	<b>2016 წლის ფაქტი</b>	<b>2017 წლის გეგმა</b>
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>1,702,512</b>	<b>1,391,970</b>	<b>1,183,240</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>563,287</b>	<b>291,524</b>	<b>231,354</b>
<b>პროცენტები</b>	<b>394,599</b>	<b>140,435</b>	<b>38,454</b>
<b>რენტა</b>	<b>168,688</b>	<b>140,435</b>	192,900
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	119,746	98,007	<b>92,900</b>
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	48,942	53,082	100,000
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>594,533</b>	<b>615,527</b>	<b>541,760</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები</b>	<b>542,569</b>	<b>561,707</b>	<b>483,760</b>
სანებართვო მოსაკრებელი	52,210	79,005	72,500
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	131	150	100
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0	0	600
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	442,000	440,475	370,560
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	48,228	42,077	40,000
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>51 964</b>	<b>53820</b>	<b>58 000</b>

შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	51 964	53820	58 000
ჯარიმები, სანქციები და საურავები	476,287	343,952	400,000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	68,405	140,967	10.126

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 10 52126 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9,766,359	9,723,178	0	9,723,178	10,522,126		10,522,126
შრომის ანაზღაურება	2,283,262	2,189,026		2,189,026	1,981,520		1,981,520
საქონელი და მომსახურება	846,025	1,139,425		1,139,425	1,325,008		1,325,008
პროცენტი	0	0		0			
სუბსიდიები	3,004,706	3,506,025		3,506,025	3,869,790		3,869,790
გრანტები	280,995	290,000		290,000	0		0
სოციალური უზრუნველყოფა	438,586	529,719		529,719	255,925		255,925
სხვა ხარჯები	2,912,785	2,068,983		2,068,983	3,089,883		3,089,883

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7302233 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7332033 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	53561	13,820	6000
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 763325	5,374,071	5,242,095
განათლება	2793524	2 006,178	1,304,600

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	763 745	1322647	779.338
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	65,686	0
<b>სულჯამი</b>	<b>8 374 155</b>	<b>8,779,401</b>	<b>7,332,033</b>

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 29 800 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	35 711	71 919	29 800
არაწარმოებული აქტივები	35 711	71 919	29 800
მიწა	35 711	71 919	29 800

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 17 854 159 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდები	გადასახდლების (ხარჯების) დასახელება	2015-წლის ფაქტი			2016-წლის ფაქტი			2017-წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საბიუჯეტო	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი		საბიუჯეტო	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი		საბიუჯეტო	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,765,108	0	2,765,108	2,827,940	0	2,827,940	3,004,602	0	3,004,602
7011	აღმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,765,108	0	2,765,108	2,827,940	0	2,827,940	3,004,602	0	3,004,602
70111	აღმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,737,468	0	2,737,468	2,827,031	0	2,827,031	2,771,602	0	2,771,602
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	27,640	0	27,640	909	0	909	233,000	0	233,000
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	0	0	0	0	0	0	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	0	0	0	0	0	0	0
702	თვდაცვა	87,328	0	87,328	86,164	0	86,164	89,000	0	89,000
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	314,750	0	314,750	0	0	0	1,982,216	0	1,982,216
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	280,995	0	280,995	0	0	0	0	0	0
7032	სახანძრო სამაშველო სამსახური	33,755	0	33,755	0	0	0	0	0	0

704	ეკონომიკური საქმიანობა	1,173,309	403,292	770,017	439,205	0	439,205	1,982,216	0	1,982,216
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0	0	0	3,242	0	3,242	58,604	0	58,604
7045	ტრანსპორტი	1,173,309	403,292	770,017	435,963	0	435,963	1,923,612	0	1,923,612
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,173,309	403,292	770,017	435,963	0	435,963	1,923,612	0	1,923,612
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	0	0	0	0	0	0	0	0	0
705	გარემოს დაცვა	523,307	0	523,307	648,989	0	648,989	590,522	0	590,522
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	195,400	0	195,400	245,361	0	245,361	304,322	0	304,322
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0	0	0	146,970	0	146,970	0	0	0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	327,907	0	327,907	256,658	0	256,658	286,200	0	286,200
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	6,551,335	1,316,149	5,235,186	6,589,045	1,401,335	5,187,710	5,748,835	0	5,748,835
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,066,927	0	2,066,927	1,466,923	0	1,466,923	1,455,123	0	1,455,123
7063	წყალმომარაგება	2,660,950		2,660,950	3,199,319		3,199,319	3,980,388		3,980,388
7064	გარე განათება	442,309		442,309	521,468		521,468	313,324		313,324
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,381,149	1,316,149	65,000	1,401,335	1,401,335	0	0	0	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	72,383		72,383	163,832		163,832	480,736		480,736
7072	ამბულატორიული მომსახურება	0		0	0		0	0		0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	72,383		72,383	163,832	0	163,832	480,736	0	480,736
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,701,093	0	1,701,093	2,268,038	0	2,268,038	1,364,828	0	1,364,828
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,276,860	0	1,276,860	727,747	0	727,747	408,539	0	408,539
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	394,233	0	394,233	1,500,291	0	1,500,291	911,289	0	911,289
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	30,000	0	30,000	40,000	0	40,000	45,000	0	45,000
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0	0	0	0	0	0	0	0	0
709	განათლება	4,594,949	0	4,594,949	4,412,509	0	4,412,509	4,307,240	0	4,307,240
7091	სკოლამდელი აღზრდა	3,756,375	0	3,756,375	3,671,405	0	3,671,405	3,649,800	0	3,649,800
7092	ზოგადი განათლება	299,257	0	299,257	28,225	0	28,225	0	0	0



7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	539,317	0	539,317	712,879	0	712,879	657,440	0	657,440
710	სოციალური დაცვა	382,660	0	382,660	749,714	0	749,714	286,180	0	286,180
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	13,031	0	13,031	10,849	0	10,849	15,330	0	15,330
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	369,629	0	369,629	738,865	0	738,865	270,850	0	270,850
<b>სულ ბიუჯეტის გადასახდელები</b>		<b>18,166,222</b>	<b>1,719,441</b>	<b>16,446,781</b>	<b>18,185,435</b>	<b>1,401,335</b>	<b>16,784,100</b>	<b>17,854,159</b>	<b>0</b>	<b>17,854,159</b>

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1,527,269 ლარის ოდენობით

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1,544,763 ლარის ოდენობით,
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1 559063 ლარის ოდენობით.

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -17,494 ლარის ოდენობით.

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 230 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12. სპორტული და კულტურული პროგრამები**

სპორტულ და კულტურულ პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 13. პრემიები**

2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

## **მუხლი 14. პასუხისმგებლობა**

2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

## **თავი II**

### **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **მუხლი 15 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

##### **1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

##### **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლების საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

##### **2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 0301)**

განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

##### **2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მანქანა-ცხოველებისგან დაცვის ღონისძიება.

##### **2.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)**

დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის- 3041 წერტის ექსპლოატაცია,

##### **2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030302)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. პროგრამის შესაბამისად გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

### **2.2.3 წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030303)**

მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს ხელვაჩაურის წყალკანალი რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-მენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. სულ მუნიციპალიტეტში 41-აუზია 2100კმ მაგისტრალის ოდენობით რასაც საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი.

### **2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 04)**

დაგეგმილია სოფლებში ცენტრების კეთილმოწყობა, სახლების ეზოების სკვერების მოწყობის სამუშაოები. განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

### **2.4 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, რეგისტრაციის, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 05)**

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### **2.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 04 02)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი ღონისძიებები. 2017 წელს აღნიშნული პროგრამაზე თანხები არ არის გათვალისწინებული.

## **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

### **3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

2011 წლიდან ხელვაჩაურის საბავშვო ბაღები გადავიდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, UNICEF-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ლიტერატურაზე: ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები და სკოლამდელი განათლების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის დანერგვისათვის ყველა საბავშვო ბაღში დაემატა შტატი ინგლისური ენის პედაგოგი, ლოგოპედი და ფსიქოლოგი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 17 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1270-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ადმინისტრაციისა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე ხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

### **3.2 სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 02)**

2005 წლიდან მუნიციპალიტეტი ახორციელებს დაწყებითი სკოლების რეაბილიტაციას და დღემდე რეაბილიტირებულია 42 დაწყებითი სკოლა.

#### **3.2.1 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02 05)**

მუნიციპალიტეტი სტიპენდიას გასცემს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ბაკალავრიატის სტუდენტებზე, ვისაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, პროგრამით თანხა გაიცემა 2015-2016 წწ პირველი და მეორე სემესტრში მიღებული ქულების შესაბამისად.

#### 4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

##### 4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- 2017 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები;
- ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა.

##### 4.1.1 ააიპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 01)

ხელვაჩაურის სპორტული სკოლა, სადაც 410 სპორტსმენია დაკავებული, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში. პროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება ხელვაჩაურის სპორტული სკოლის დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობები და გაგრძელდება ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა-წახალისება. სკოლაში მომზადდება გადის სხვადასხვა ასაკის ჯგუფები სპორტის 9 სახეობაში. (ფეხბურთის ჯგუფში-94 ბავშვი; კიკბოქსინგის ჯგუფში- 10; თავისუფალ ჭიდაობაში -58; ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში -90; ქართულ ჭიდაობაში -10; მშვილდოსნობაში -34; ძიუდოში -34; მალოსნობაში -28; ხელბურთში -15.)

სპორტსმენების და მწვრთნელების დაფინანსება ხორციელდება სუბსიდიით ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ყველა სპორტსმენი განათლებას იღებს გადასახადის გარეშე. ჩამოყალიბებულია ფეხბურთის გუნდი „მაჭახელა“. აგრეთვე ფუნქციონირებს ჭადრაკისა და რაგბის ჯგუფი.

##### 4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

##### 4.2.1 ხელვაჩაურის სახელოვნობო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 მუსიკალური სკოლა, სადაც ფორტეპიანოს ერთად სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებზე დაკვრას ეუფლება 300-მდე მოსწავლე; ადმინისტრაციისა და პედაგოგების ხელფასს აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი.

სამუსიკო სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა 6 წლით განისაზღვრება, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს გადაეცემა შესაბამისი ხარისხის დამამთავრებელი მოწმობა.

##### 4.2.2 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 03)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი, სანახაობრივი და ტრადიციული ღონისძიებები. ისეთი კულტურული ღონისძიებები როგორცაა დედისა და ქალთა დღე; საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, საბავშვო სიმღერების კონკურსი „ცეროდენა“, ინტელექტუალური კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“, სახალხო დღესასწაულები „კოლხობა“ და „მაჭახლობა“ და სხვ.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- კულტურის ცენტრის სახალხო თოჯინების თეატრი, ახალი სპექტაკლების მომზადება-დაფინანსება;
- ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები;
- კულტურის კლუბები და სახლები; ბიბლიოთეკა; მუზეუმები, ახალგაზრდული განყოფილება, სადაც განათლებას ღებულობს 100 ახალგაზრდა.

##### 4.2.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას (ლაშქრობები, ექსკურსიები).

#### 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი ამოცანაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობების შესწავლა, მათი გამოვლენა, სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ინდივიდუალური და კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დამოწმების უზრუნველყოფის უზრუნველყოფა.

მოსახლეობის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

**5.1 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

**5.1.1 ეპიდემიით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 01)**

პროგრამა ითვალისწინებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქრონიკულად პროგრესირებად პირთა დაავადებების მედიკამენტოზურ დახმარებას, კერძოდ მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

**5.1.2 მაკახლის თემის მოსახლეობის სამედიცინო მომსარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 02)**

პროგრამის მიზანია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, როგორც ბინაზე გამოძახებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში მძიმე ავადმყოფების გადაყვანის უზრუნველყოფა ცენტრალურ სამედიცინო დაწესებულებაში.

**5.1.3 პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)**

პირველადი ჯანდაცვა წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ კომპონენტს. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყველა თემში მოსახლეობას პირველად სამედიცინო მომსახურებას უწევს სერტიფიცირებული ოჯახის ექიმი და ექთანები. მათი უმეტესობა მუშაობს დონორ ორგანიზაციების მიერ რეაბილიტირებულ ანახლადამენებულ პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში. მათვე გააჩნიათ სათანადო აღჭურვილობა. აღნიშნული ფაქტორები განაპირობებს სოფლის მოსახლეობისათვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას.

პუდცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობას მუნიციპალიტეტის გამგეობა განხორციელებს კომუნალური ხარჯებითა და სამედიცინო კაბინეტების დაქირავებისათვის იკარის თანხით. აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 28 მარტის #01-63/ობრძანების თანახმად გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით აკაცე ნტის უზრუნველსაყოფად „ექიმის ჩანთის“ უესაბამისად.

**5.1.4 დიალუზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 04)**

თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის და გაუმჯობესება ხორციელდება დიალიზის სახელმწიფო პროგრამით. სამკურნალო სესიები უტარდება თქ. ბათუმის კლინიკებში. პროგრამით დაფინანსებულია ყოველთვიურად 13 სესიის. სესიების ჩატარება მკაცრად რეგულირებულია. მკურნალობის რეჟიმის დარღვევა ჯანმრთელობის გაუარესების რისკის შემცველია, არარისგამორიცხული იცოცხლისათვის სავალალო შედეგად.

სისტემატიური გადაადგილების აუცილებლობა კიდევ უფრო ამძიმებს მცირე შემოსავლიანი ოჯახების მდგომარეობას და ჯანმრთელობის პრობლემების სპარალელურად უქმნის მათ დამატებით ფინანსურ ინტენსივობას.

პრობლემის გადაწყვეტის მიმართ უღებდები ჩვეულებრივი ბუნებრივი იარაღით დახმარება ტრანსპორტირების თანხით. ამასთანავე ყველა ბუნებრივი იარაღი რეველიოგუფის ინვალიდია და გადაადგილებისათვის საჭიროებენ დამხმარებრს, რაც ქმნის დამატებითი ტრანსპორტირების ხარჯის აუცილებლობას.

**5.1.5 სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 09)**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება რთულია, რამდენადაც მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა. 2016 წლის ჩათვლით პროგრამას მართავდა აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2017 წლიდან პროგრამა განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. პროგრამის ამოქმედების პერიოდში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 სამედიცინო პუნქტი, რომელშიც დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის 47 მედდა. გამგეობის მხრიდან განხორციელდება სამედიცინო პუნქტის მედდების ხელფასით უზრუნველყოფა და მათთვის მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკოსაშუალებების შეძენა. პროგრამის პარამეტრები განისაზღვრება აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის პროგრამის ანალოგურად.

**5.1.6 პარკინსონით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 10)**

პარკინსონიზმი – პროგრესირებადი დაავადებაა, რაც გულისხმობს დაავადების სიმპტომების დროთა განმავლობაში გამწვავებასა და დამძიმებას. ქრონიკული დაავადების მქონე პირები საჭიროებენ მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაავადებას საბოლოოდ მივყავართ უნარშეზღუდულობასა და ქმედითუნარიანობის დაკარგვამდე. დაავადებულები უპირატესად არიან ასაკოვანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილისათვის უწყვეტი მკურნალობა მცირე შემოსავლების გამო ხშირად ხელმიუწვდომელია. აღნიშნულის გათვალისწინებით გამგეობამ შეიმუშავა შესაბამისი პროგრამა, რომლითაც ისარგებლებს პარკინსონით დაავადებული პირები ასაკის შეუზღუდავად.

**5.1.7 ბრონქული ასთმით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა(პროგრამული კოდი 06 01 11)**

**ბრონქული ასთმით დაავადებულ ბენეფიციართა ავადობისა და ინვალიდობის შემცირების მიზნით შემუშავებული იქნა მიზნობრივი პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია ბრონქული ასთმით დაავადებული 120 ბენეფიციარისათვის ყოველდღიურად მისაღები სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად. 3 ინჰალატორი წლის განმავლობაში.**

**5.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**5.2.1. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა(პროგრამული კოდი 0602 01)**

პროგრამა ითვალისწინებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 22 ბენეფიციარის ცხელი საკვებით უზრუნველყოფას დღეში ერთჯერადად კვირაში 7 დღის განმავლობაში.

**5.2.2. ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02).**

პროგრამა ითვალისწინებს უკვდავყოფის და სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას, ერთჯერად მატერიალურ დახმარებას \_ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 250 ლარის ოდენობით დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულზე 100 ლარის ოდენობით და ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ბანკეტი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 27 სექტემბერთან დაკავშირებით თითოეულზე 100 ლარი დახმარება, მემორიალის შემკობა 16 თებერვალი, 9 მაისი, 26 მაისი, 7 ავისსტო. 27 სექტემბერი, მემორიალთან მუდმივი ცეცხლისათვის ბუნებრივი აირის გადასახადი.

**5.2.3. მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შექმნისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 03)**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის პროგრამის ფარგლებში 2017 წელს, გათვალისწინებულია:მე-3 შვილის დაბადებაზე 500 ლარი, მე-4 შვილის დაბადებაზე 700 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებაზე 900 ლარი.

**5.2.4. მრავალშვილიანი და დედამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)**

მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (37 ოჯახი) ერთჯერადმატერიალურ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით.

**5.2.5 0-დან 70000 ლარის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრების გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)**

პროგრამისფარგლებში გათვალისწინებულიაუკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გარდაცვლილთა დაკრძალვისათვის დახმარების გაწევა. დახმარების თანხა თითოეულ გარდაცვლილზე შეადგენს 250 ლარს.

**5.2.6 0-დან 70000 ლარის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის პროგრამის ფარგლებში 2017 წელს, გათვალისწინებულია:0-700000 ლარის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების პირველი შვილის დაბადებაზე 300 ლარი, მე-2 შვილის დაბადებაზე 400 ლარი.

**5.2.7 ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 09)**

პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სამედიცინო ცენტრებში ცერებრალური დამბლით, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთთა და ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებების მქონე ბავშვებისათვის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის მატერიალურ დახმარებას. დაფინანსება თანხვედრილია აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის მოცულობის /ანუ 6 კურსი წელიწადში, კურსის ხანგრძლივობა-10 დღე, სულ წელიწადში - 60 დღე. პროგრამით მოსარგებლე პირთა უმეტესობა შშმ პირია და დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არა აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები, ცხოვრობენ სოფლად და თანხლებ პირთან ერთად უწყვეტ რამდენიმე სახის ტრანსპორტის შეცვლა, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. პროგრამა უზრუნველყოფს ფინანსური დახმარების გაწევას აჭარის არ ტერიტორიაზე განლაგებულ სამედიცინო ცენტრებში გადაადგილებისათვის. პაციენტს აქვს ცენტრის არჩევის უფლება. მ/ეტაპზე ბენეფიციარები სარგებლობენ 5 სამედიცინო ცენტრის მომსახურებით. გათვალისწინებულია კომპენსაციის გაწევა 90 პირისათვის დღეში 7 ლარის ოდენობით.

**5.2.8 ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 12)**

ფენილკეტონურია – მიმე მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ნერვული სისტემისა და სხვა შინაგანი ორგანოების ღრმა დაზიანებით. დაავადების მქონე პირები მთელი ცხოვრების მანძილზე საჭიროებენ დაკვირვებასა და მკურნალობას სამედიცინო გენეტიკურ ცენტრებში და სპეციალურ დიეტას უცილო საკვები პროდუქტებით. 18 წლამდე ასაკის ბავშვები ფედერალური პროგრამის ფარგლებში მარაგდებიან მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით, რომელიც ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დამატებითი სოციალური დახმარების მიზნით გამგეობამ შეიმუშავა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა. პროგრამით დახმარება საწყის ეტაპზე გაეწევა ფენილკეტონურიით დაავადებულ ერთ პირს, რომელიც ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარების ჩართვა მოხდება წლის განმავლობაში

**თავი III**

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 16 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

პროგრამული კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშეხვრები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშეხვრები	საკუთარი შემოსავლები
<b>01</b>	<b>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებანი</b>	<b>18,193,813</b>	<b>18,671,078</b>	<b>1,401,335</b>	<b>17,269,743</b>	<b>17,885,953</b>	<b>0</b>	<b>17,885,953</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	148	150	0	150	150	0	150
	ხარჯები	9,792,067	9,723,178	0	9,723,178	10,522,126	0	10,522,126
	შრომის ანაზღაურება	2,283,262	2,189,026	0	2,189,026	1,981,520	0	1,981,520
	საქონელი და მომსახურება	871,733	1,139,425	0	1,139,425	1,325,008	0	1,325,008
	სუბსიდიები	3,004,706	3,506,025	0	3,506,025	3,869,790	0	3,869,790
	გრანტები	280,995	290,000	0	290,000	0	0	0

	სოციალური უზრუნველყოფა	438,586	529,719	0	529,719	255,925	0	255,925
	სხვა ხარჯები	2,912,785	2,068,983	0	2,068,983	3,089,883	0	3,089,883
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,374,155	8,779,401	1,401,335	7,378,066	7,332,033	0	7,332,033
	ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	14,300	0	14,300
	ვალდებულებების კლება	27,591	168,499	0	168,499	17,494	0	17,494
<b>01 00</b>	<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b>	<b>2,765,059</b>	<b>2,995,530</b>	<b>0</b>	<b>2,995,530</b>	<b>3,019,096</b>	<b>0</b>	<b>3,019,096</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	142	144		144	144		144
	ხარჯები	2,683,907	2,813,211	0	2,813,211	2,995,602	0	2,995,602
	შრომის ანაზღაურება	2,212,202	2,117,246		2,117,246	1,916,920		1,916,920
	საქონელი და მომსახურება	448,585	656,518	0	656,518	586,452	0	586,452
	სოციალური უზრუნველყოფა	0	16,327		16,327	2,750		2,750
	სხვა ხარჯები	23,120	23,120		23,120	489,480		489,480
	არაფინანსური აქტივების ზრდა	53,561	13,820		13,820	6,000		6,000
	ვალდებულებების კლება	27,591	168,499		168,499	17,494		17,494
<b>01 01</b>	<b>მუნიციპალიტეტის საკრებულო</b>	<b>725,022</b>	<b>697,331</b>		<b>697,331</b>	<b>655,610</b>		<b>655,610</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	28	29		29	27		27
	ხარჯები	715,238	697,331		697,331	655,610		655,610
	შრომის ანაზღაურება	621,361	525,788		525,788	467,250		467,250
	საქონელი და მომსახურება	93,877	159,996		159,996	185,610		185,610
	სოციალური უზრუნველყოფა		11,547		11,547	2,750		2,750
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,784	0			0		
<b>01 02</b>	<b>მუნიციპალიტეტის გამგეობა</b>	<b>2,012,446</b>	<b>2,129,700</b>		<b>2,129,700</b>	<b>2,115,992</b>		<b>2,115,992</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	114	115		115	117		117
	ხარჯები	1,968,669	2,115,880		2,115,880	2,109,992		2,109,992
	შრომის ანაზღაურება	1,590,841	1,591,458		1,591,458	1,449,670		1,449,670
	საქონელი და მომსახურება	354,708	496,522		496,522	400,842		400,842



	სოციალური უზრუნველყოფა	0	4,780		4,780	0		0
	სხვა ხარჯები	23,120	23,120		23,120	259,480		259,480
	არაფინანსური აქტივების ზრდა	43,777	13,820		13,820	6,000		6,000
<b>01 03</b>	<b>სარეზერვო ფონდი</b>	<b>0</b>	<b>0</b>		<b>0</b>	<b>230,000</b>		<b>230,000</b>
	ხარჯები	0	0		0	230,000		230,000
	სხვა ხარჯები	0	0			230,000		230,000
<b>01 04</b>	<b>წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა</b>	<b>27,591</b>	<b>168,499</b>		<b>168,499</b>	<b>17,494</b>		<b>17,494</b>
	ვალდებულებების კლება	27,591	168,499		168,499	17,494		17,494
<b>02 00</b>	<b>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>	<b>402,078</b>	<b>86,164</b>	<b>0</b>	<b>86,164</b>	<b>89,000</b>	<b>0</b>	<b>89,000</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6	6		6	6		6
	ხარჯები	402,078	86,164	0	86,164	89,000	0	89,000
	შრომის ანაზღაურება	71,060	71,780		71,780	64,600		64,600
	საქონელი და მომსახურება	16,268	14,384	0	14,384	24,400	0	24,400
	გრანტები	280,995	0		0	0		0
	სოციალური უზრუნველყოფა	33,755	0		0	0		0
<b>02 01</b>	<b>სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური</b>	<b>87,328</b>	<b>86,164</b>		<b>86,164</b>	<b>89,000</b>		<b>89,000</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6	6		6	6		6
	ხარჯები	87,328	86,164		86,164	89,000		89,000
	შრომის ანაზღაურება	71,060	71,780		71,780	64,600		64,600
	საქონელი და მომსახურება	16,268	14,384		14,384	24,400		24,400
<b>02 02</b>	<b>სახანძრო სამაშველო სამსახური</b>	<b>33,755</b>	<b>0</b>		<b>0</b>	<b>0</b>		<b>0</b>
	ხარჯები	33,755	0		0	0		0
	სოციალური უზრუნველყოფა	33,755				0		

02 03	სსიპ საგანგებო სიტუაციის მართვის სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები	280,995	0		0	0		0
	ხარჯები	280,995	0		0	0		0
	გრანტები	280,995	0			0		
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8,275,591	7,678,148	1,401,335	6,276,813	8,489,293	0	8,489,293
	ხარჯები	3,512,266	2,304,077	0	2,304,077	3,232,898	0	3,232,898
	საქონელი და მომსახურება	381,172	427,604	0	427,604	491,222	0	491,222
	სუბსიდიები	459,909	686,236	0	686,236	747,650	0	747,650
	სხვა ხარჯები	2,671,185	1,190,237	0	1,190,237	1,994,026	0	1,994,026
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,763,325	5,374,071	1,401,335	3,972,736	5,242,095	0	5,242,095
	ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	14,300	0	14,300
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	1,173,309	408,309	0	408,309	1,923,612	0	1,923,612
	ხარჯები	917,377	408,309	0	408,309	982,333	0	982,333
	საქონელი და მომსახურება	7,259	2,086	0	2,086	0	0	0
	სხვა ხარჯები	910,118	406,223	0	406,223	982,333	0	982,333
	არაფინანსური აქტივების ზრდა	255,932	0	0	0	941,279	0	941,279
03 01 01	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია	249,847	0	0	0	400,625	0	400,625
	ხარჯები	53,365	0		0	0		0
	სხვა ხარჯები	53,365	0			0		0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	196,482	0			400,625		400,625
03 01 02	ფერდამცავი კედლების მოწყობა	856,753	406,223	0	406,223	982,333	0	982,333
	ხარჯები	856,753	406,223	0	406,223	982,333	0	982,333
	სხვა ხარჯები	856,753	406,223		406,223	982,333		982,333
03 01 03	მუნიციპალიტეტის სოფლებში გზის გაყვანასთან დაკავშირებით საწვავით უზრუნველყოფა	7,259	2,086		2,086	0		0

	ხარჯები	7,259	2,086		2,086	0		0
	საქონელი და მომსახურება	7,259	2,086		2,086	0		0
03 01 04	სატრანსპორტო ტექნიკის შეძენა	59,450	0		0	0		0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	59,450	0			0		
03 01 05	სოფელ კაპნისთავში, ცისკარაძეებისა და კახიძეების დამაკავშირებელ გზაზე, მდინარე ყრულელე ზეხიდის მოწყობა	0	0		0	27,777		27,777
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0			27,777		27,777
03 01 06	სოფელ მნათობში (კავეჯოლი ვოვას სახლიდან პამბა ისმეთის სახლამდე) შიდა სასოფლოგზის რეაბილიტაცია	0	0		0	73,393		73,393
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0			73,393		73,393
03 01 07	სოფელ ფერიაში მესხის ქუჩიდან სამლოცველო სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	0	0		0	58,367		58,367
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0			58,367		58,367
03 01 08	სოფელ მასაურაში სამანქანე გზის ბეტონის საფარის მოწყობა	0	0		0	75,587		75,587
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0			75,587		75,587
03 01 09	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსვლაში ცინცილაძეების დასახლებიდან წინსვლის საჯარო სკოლამდე 1726.51მ შიდა სასოფლო გზისა და 10მ. დამცავი კედლის მოწყობა	0	0		0	167,615		167,615
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0			167,615		167,615
03 01 10	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანაქიძეებში თავკალის დასახლებიდან სოფელ ზანაქიძეების დამაკავშირებელი 495.85 მ შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	0	0		0	47,410		47,410
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0			47,410		47,410
03 01 11	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურში არფაზონის დასახლების 941.15 მ შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	0	0		0	90,505		90,505
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0			90,505		90,505
03 02	სოფლის მეურნეობა	0	3,242	0	3,242	58,604	0	58,604
	ხარჯები	0	3,242	0	3,242	58,604	0	58,604

	სხვა ხარჯები	0	3,242	0	3,242	58,604	0	58,604
03 02 01	მაგნე მწერების საწინააღმდეგო პრეპარატების შეძენის ხარჯი	0	0	0	0	58,604	0	58,604
	ხარჯები	0	0	0	0	58,604	0	58,604
	სხვა ხარჯები					58,604		58,604
03 02 02	მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პროცენტული თანამონაწილეობა	0	3,242	0	3,242	0	0	0
	ხარჯები		3,242	0	3,242	0	0	0
	სხვა ხარჯები	0	3,242		3,242	0		
03 03	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7,102,282	7,266,597	1,401,335	5,865,262	6,507,077	0	6,507,077
	ხარჯები	2,594,889	1,892,526	0	1,892,526	2,191,961	0	2,191,961
	საქონელი და მომსახურება	373,913	425,518	0	425,518	491,222	0	491,222
	სუბსიდიები	459,909	686,236	0	686,236	747,650	0	747,650
	სხვა ხარჯები	1,761,067	780,772		780,772	953,089		953,089
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,507,393	5,374,071	1,401,335	3,972,736	4,300,816	0	4,300,816
